

მტკიცებულებების დასაშვებობის პროცესუალური ასპექტები სისხლის  
სამართლის პროცესში



თეა პაპავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი ბადრი ნიპარიშვილი,  
სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2022 წელი

განაცხადი,

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ის წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეა ჰაპავა

20 ივნისი 2022 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მტკიცებულების არსი, მისი განმარტება და მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმის განხილვისა თუ განაჩენის გამოტანის ეტაპზე. შესწავლილია ის პრობლემატური საკითხები, რაც ხშირად გვხვდება პრაქტიკაში თუ საპროცესო კანონმდებლობაში, კერძოდ: არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების შესაძლებლობა, მტკიცებულების გაცვლასთან მიმართებით არსებული ვადა, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ან სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულების დასაშვებობასთან მიმართებით არსებული საკითხები.

კვლევის მიზანია გამოკვეთოს და ნათლად წარმოაჩინოს ის პრობლემური საკითხები, რაც არსებობს საპროცესო კანონმდებლობაში და პრაქტიკული თავლსაზრისით. აღნიშნული თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც 2010 წელს ძირეული ცვლილებები შევიდა საპროცესო კანონმდებლობაში. კვლევა ასევე მიზნად ისახავს პრაქტიკისა და თეორიის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ერთგვარი მიდგომა პრობლემატურ საკითხებთან მიმართებით. ამ კუთხით გამოყენებულ იქნება როგორც სხვადასხვა სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე თეორიტიკოსთა მოსაზრებები. მოცემულ ნაწილში გამოყენებული იქნება შედარებით/სამართლებრივი კვლევის და სისტემური ანალიზის მეთოდები, რათა უკეთ გამოჩნდეს ის პრობლემური საკითხები, რაც არის ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო აქტებში და პრაქტიკაში.

საკვანძო სიტყვები: მტკიცებულება, პრაქტიკა, სტანდარტი.

## **Abstract**

The present paper discusses the essence of the evidence, its explanation, and the significance of the criminal case at the stage of consideration or sentencing. Problematic issues that are often encountered in practical terms or procedural law are discussed. In particular, the amount of evidence obtained through substantial violations, the timing of the exchange of evidence and the practical problems in this regard, and the case-law of the European Court of Human Rights.

The research aims to identify and present the problematic issues that exist in procedural legislation from a practical point of view. This issue has become even more relevant since 2010 when fundamental changes were made in the procedural legislation. Based on the analysis of practice and theory, to formulate a kind of approach to problematic issues, to present and better show the precedents of the European Court of Human Rights and quite important explanations regarding the issues of obtaining evidence. Problematic issues will be applied to various court decisions as well as opinions with the theorist in this regard.

Keywords: Inadmissible evidence, practice, European Court of Human Rights